საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია № 137 ხუთშაბათი, 1918 წ. აგვისტოს 29. № 317

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ახლო მომავალში აღდგენილი იქნება მიმოსვლა და ფოსტა-ტელეგრაფი [illegible]. დასავლეთის ფრონტზე სასტიკი ბრძოლაა.

## სექტ. 15-ს ტფილისში გაიხსნება საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის კონფერენცია.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ღრმად დამწუხრებულნი დედა ანა ნიკოლოზის ასული, ძმები თევდორე, ვალერიან და ივანე ბახჩალოვები, და პარესსა ქურდიანისა, რძლები ნადიჟდა და ზინაიდა ბახჩალოვებისა და სიძე გრიგოლ ქურდიანი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობებს, რომ აგვისტოს 27-ს უდროოდ გარდაიცვალა პორუჩიკი

გიორგი კონსტანტინეს ძე ბახჩალოვი.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე (მატინოვის ქუჩა № 10), გამოსვენება შაბათს, აგვისტოს 31-ს ქვაშვეთის ეკლესიაში დილის 9 ნახ. საათზე. დასაფლავება ვერის სასაფლაოზე. 909

ანა ურუშაძისა, შვილები მისი ჩიტო, ვერა, ლეონიდა, ალექსანდრე და სიძე გიორგი დოლიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ პირველი საყვარელი მაზლის შვილისა და მეორენი დაუვიწყარი ბიძაშვილის სტუდენტი

ვასო სიოს ძე ურუშაძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ქ. ლანჩხუთში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 915

გულ-დამწვარი დედა სონა გრიგოლის ასული ვაშაძისა, აუწყებს ნაცნობ-ამხანაგ-ნათესავებს, რომ ხუთშაბათს, აგვისტოს 29-ს ქალ. ჭიათურაში გადახდილი იქნება, საგვარეულო სასაფლაოზე, ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი სამშობლოს მტერთან გმირულად დაღუპულის, ბათომის პარტიზანული პოლკის ოფიცრის სტუდენტი

შალვა ვაშაძის

გარდაცვალების გამო. 912-1

გაუბედურებული ანა (ტატულია) საბას ასული, თამარ და ელენე ნიორაძენი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ შაბათს აგვისტოს 31 ს დანიშნულია დაუვიწყარ საყვარელ და ძვირფას მეუღლის და მამიკოსი

პოლიევკტ [კოლია] გიორგის ძის ნიორაძის

გარდაცვალების ორი წლის თავზე წირვა და პანაშვიდი, დილის 10 საათზე ქ. ზესტაფონში, სასაფლაოს ეკლესიაში. 914

ლუარსაბ ქაიხოსროს ძე და ეკატერინე ნიკოლოზის ასული ყიფიანები შვილებით გულის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დაუვიწყარის შვილის

ვასილის (ბასილას)

ტრაგიკულად გარდაცვალებას, დასაფლავება მოხდება სოფ ქვიშხეთში. 907

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ

ენკენისთვის 15-ს ტფილისში მოხდება სოც.-ფედ. პარტიის დელეგატთა

კონფერენცია

განსახილველი საკითხები: 1. მომენტი და ჩვენი ტაქტიკა. 2. აგრარული საკითხი. 3. მოხსენებანი ადგილებიდან. ყოველი 150 წევრი პარტიისა ირჩევს ერთს დელეგატს. სადაც ნაკლებ აღმოჩნდება—იქ 100 აირჩევს. მეზობელ მცირე ორგანიზაციებს შეუძლიანთ არჩევნებისათვის შეერთება.

სადილი პურით სლეპცოვის ქუჩაზე № 3, ბინა 12 (ოლგას ქუჩის დასაწყისი) იხსნება პატარა სასადილო კარგად მოწყობილ ოთახში, სადაც მიღებულია ზომები, რომ ყველაფერი რიგზე იყოს. სადილი იქნება უხვი, ნახევარ გირვანქა პურით წმინდა ერბოზე, პატარა საუზმით და ეღირება 12 მან. წრე, მზარეულიდან დაწყებული, შესდგება ინტელიგენტ ქალებისაგან. სადილის ზედმეტ მსურველთ განსაზღვრულ ფასად შეუძლიათ მოითხოვონ ყავა, ტკბილეული, ღვინო, კონიაკი და ლიკიორი. სადილის მსურველი უნდა ჩაეწეროს წინა დღითვე. გადასახადი არა ნაკლებ ერთი კვირისა წინდაწინვე. სასადილო გაიხსნება კვირას სექტემბრის 1. 913



დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად შექმ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 15—60.

დღეს, აგვისტოს 29-ს გაიმართება

საგასტროლო წარმოდგენა

მონაწილეობენ ნიკოლინი, კაძო, ბ. ელიზაროვი და სხვ

ანონსი: ამ დღეებში გაიხსნება შემოდგომის სეზონი. მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 907

### ტფილისი, აგვისტოს 29

**საერობო არჩევნები გორში.**

თითქმის მთელს საქართველოში საერობო არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს შორის მოჰხდა შეთანხმება. არც პრინციპიალურ საკითხებს, არც ადგილების განაწილებას პარტიათა შორის არსად უთანხმოება და უკმაყოფილება არ გამოუწვევია. ეს აიხსნება იმით, რომ პოლიტიკურმა მომენტმა საერთო მიზნები გადაუშალა დემოკრატიულსა და სოციალისტურს პარტიებს. მით უფრო ბევრი საერთო აღმოჩნდება ადგილობრივ თვითმართველობათა მოღვაწეობის დროს.

მიუხედავად ზემოხსენებულ პარტიათა ხელმძღვანელი ორგანოების გარდაწყვეტილებისა, გორის მაზრაში შეთანხმება ვერ მოხერხდა, რადგანაც ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატებმა საერთო სიით გამოსვლა არ მოისურვეს.

ამ რიგად ჩვენს ამხანაგებს გორის მაზრაში დამოუკიდებელი სიით უხდებათ გამოსვლა. მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო დარჩა. თითქმის დრო სულ აღარც კი არის, მაგრამ ამის და მიუხედავად გორის მაზრის ამხანაგებმა განსაკუთრებული ზომები უნდა მიიღონ, რათა ის უტყუარი ხმები მაინც, რომლებიც ჩვენს სრულს განკარგულებაშია, არ დაჰკარგონ.

საჭიროდ არ მიგვაჩნია საერობო თვითმმართველობათა მნიშვნელობაზე ლაპარაკი ამ წერილში. ვიტყვით მხოლოდ, რომ სულ ახლო მომავალში საერობო თვითმართველობანი დიდს როლს ითამაშებენ ჩვენს ცხოვრებაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სასამართლოსა და ადმინისტრაციას ძალიან მჭიდრო კავშირი ექნება საერობო თვითმართველობასთან. მიწის საკითხის პრაქტიკული განხორციელების დროსაც საერობო თვითმართველობებს უდიდესი მნიშვნელობა ექნებათ.

ყველაფერი ეს ვალდებულებას ადებს ჩვენს პროვინციელ ამხანაგებს განსაკუთრებულის ყურადღებით მოეკცნენ საერობო არჩევნებს და ყოველივე ზომები მიიღონ, რათა კვირის საერობო არჩევნებმა ჩვენთვის გორის მაზრაში უნაყოფოდ არ ჩაიაროს.

მეტი ენერგია, მეტი შეგნება პარტიული მოვალეობისა!..

## მთავრობაში

გზათა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა 1) შავი ქვის გადაზიდვის ტარიფი გადიდებულ იქმნას 57,6 კაპეიკამდე ფუთზე. რის შესახებ კანონ პროექტი გადაცემულ იქმნეს ეროვნულ საბჭოში. 2) მიეცეს გზათა მინისტრს უფლება, დანიშნოს კახეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე 3) ამა წლის სექტემბრის 10-დან მოესპოს ოფიცრებს უფლება მე-3 კლასის ბილეთით მე-2 კლასით, და მე-2 კლასის ბილეთით პირველი კლასით იმოგზაურონ.

—

მიწათ მოქმედების მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა, მიეცეს ქალაქთა კავშირს მომარაგების კომიტეტის თანხიდან ნახევარი იმ ფულისა, რომელიც საჭიროა ლაზარეთის № 33 მოსამსახურეთა ორი თვისა და 20 დღის ჯამაგირით დასაკმაყოფილებლად.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებით დადგენილ იქმნა მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს მოახდინოს ბიხოვის ლიტოგრაფიის კონფისკაცია

—

მიენდო სამხედრო მინისტრს გამოაცხადოს საერთო განკარგულება სამხედრო ნივთებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

—

მიწათ მოქმედების სამინისტროსთან არსებულ ცენტრალურმა საადგილ-მამულო გამგეობამ გადასწყვიტა: დაევალოს საქართველოს სახელმწიფო ფონდის და საუფლისწულო მამულების გამგეებს დამუშავების მოგვარება და შემოსავლის შეკრება, იმ ვენახ-ბაღებისა, რაიც კერძო მესაკუთრეთა ნორმაზედ მეტ ჩამონაჭრებად გადაირიცხა რესპუბლიკის სახელმწიფო მამულების ფონდში.

—

საადგილ-მამულო გამგეობამ მოიწონა და მიწათ-მოქმედების საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა, გამგეობის წევრის გ. ჩადუნელის პროექტი ტფ საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობის გაუქმების და საოლქო საადგილ-მამულო გამგეობის, სამინისტროსთან არსებულ ცენტრალურ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ.

—

მიწათ-მოქმედების სამინისტრო საბჭოს წარედგინა სოხუმის საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტის ხარჯთაღრიცხვა და ეთხოვა, აღნიშნულ ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებამდე მიეცეს 50000 მანეთი აგრარულ რეფორმათა განსახორციელებლად გადადებულ თანხიდან.

—

მთავრობის დადგენილებით 30 აგვისტოს გზათა მიმოსვლის სამინისტროში, ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკათა წარმომადგენლების თანდასწრებით შესდგება კრება, რომელმაც უნდა განიხილოს მოაწყოს ამიერ-კავკასიის საფოსტო და სარკინისგზო დამოკიდებულება.

## ეროვნული საბჭო

**აგვისტოს 27 სხდომა.**

კრება იხსნება საათის 1; თავმჯდომარეობს **ნ. ჩხეიძე.**

დღის წესრიგი: ცნობა კომისიებში გადასაცემ კანონპროექტების თაობაზე; განხილვა კანონ-პროექტისა ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთების თაობაზე, განხილვა კანონ-პროექტისა სასამართლოს ბოქაულთა და გზირთა საგასამრჯელო ნიხრის გადიდებას თაობაზე.

განხილვა კანონ პროექტისა საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის თაობაზე.

**დ. შარაშიძე** (ალიონელი) კითხულობს კანონ-პროექტს საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის თაობაზე. მთავრობამ გააუქმა ძველი 1„ საბაჟო დაწესებულება და მის მაგიერ დააწესა 14 ახალი საბაჟო დაწესებულება. პატარა საქართველოსათვის საჭიროა მარტივს პრინციპზე აგებული საბაჟო დაწესებულებანი. არსებობს ერთი საბაჟო ცენტრალური დაწესებულება, დანარჩენნი მას ექვემდებარებიან ეკონომიისათვის ტფილისში შეერთებულია ცენტრალური და ადგილობრივი საბაჟო დაწესებულებანი ახალი დაწესებულებანი დაყოფილია სამ კათეგორიად პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დაწესებულებად.

პირველი ხარისხისაა ფოთში, მეორე სოხუმსა და ნატანებში. მესამე ხარისხისა დანარჩენ ადგილებში. როცა საზღვრები საბოლოოდ გამოირკვევა, შეიძლება პუნქტები შეიცვალოს. მთავრობა თხოულობს, უფლება ჰქონდეს ესა თუ ის საბაჟო დაწესებულება ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაიტანოს, თუ ეს ცვლილება ხარჯების გადიდებას არ გამოიწვევს.

ერთს ახალს უფლებას კიდევ თხოულობს მთავრობა. მეორე და მესამე ხარისხის საბაჟო დაწესებულებათ ჰქონდეს უფლება დაბაჟოს მთელი რიგი საქონლისა საბაჟო საქმეებს განაგებს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ცენტრალურ საბაჟოს შემწეობით.

**ივ. ვარაზაშვილი.** (ს.-რ.) საბაჟო სისტემის შემოღების წინააღმდეგ ჩვენს ფრაქციას პრინციპიალად არაფერი აქვს. მე მინდა შევეხო მხოლოდ საპრაქტიკო მოსაზრებით საბაჟო ჯაჭვ[illegible]ახალი ფრიად სასურველ მოვლენად მიგვაჩნია. ღრმადა გვწამს, ჩვენი ეკონომიური კეთილდღეობა და კულტურულად წინ წაწევა დამოკიდებულია მრეწველობის განვითარებაზე. ჩვენ არ დავერიდებით ხელი შევუწყოთ ყველა იმას რაც კი ემსახურება სამშობლოს კეთილდღეობას. მაგრამ ამ ჟამად შეეფერება თუ არა ჩვენს მდგომარეობას საბაჟო სისტემის შემოღება? იუსტიციის მინისტრმა ერთხელ სთქვა: სამოსამართლოს რეფორმის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა საადმინისტრაციო აპარატი იქნება მოწყობილიო. დაახლოებით ასევე შეგვიძლიან ჩვენც გავიმეოროთ; საბაჟო სისტემის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა საზღვრები ყოველ მხრივ დაცული იქნება. სანამ საბაჟოების მოწყობას შეუდგებოდეთ, საზღვრების დამცველი რაზმები უნდა მოვაწყოთ. თორემ საზღვრების სუსტად დაცვის გამო საბაჟო შემოსავალი უდრის მხოლოდ 300,000 მანეთს. თუ ასე გაგრძელდა, მთელი წლის განმავლობაში შემოსავალი აიწევს მხოლოდ 600,000 მანეთამდე. ესე იგი შემოსავალი იქნება იმდენი რამდენიც საბაჟო დაწესებულებათათვის დაიხარჯება. რიგიან შემოსავლისათვის საჭიროა საქონელმა იქ გაიაროს, სადაც ჩვენი მთავრობა დაინახავს საჭიროდ. ამისათვის კი, ვიმეორებ, აუცილებელია საზღვრის დამცველი რაზმი გვყავდეს.

კიდევ არის გარემოება, რომლის გამო უხერხულად გვეჩვენება საბაჟო სისტემის შემოღება. მეზობელ სახელმწიფოებთან ხელშეკრულება არა გვაქვს ჯერ დადებული. საბაჟოების შემოღებამდე ჯერ ხელშეკრულება უნდა დავდოთ მეზობელ სახელმწიფოებთან. ამას უნდა დაუმატოთ შემდეგი, ჩვენს რესპუბლიკას ამ ჟამად ესაჭიროება უფრო შემოსატანი საქონელი. ბაჟი უმთავრესად შემოსატან საქონელს უნდა დაედოს ვფიქრობთ, აწ არსებულს კრიზისს ეს უფრო გააძლიერებს. ზემო ჩამოთვლილ მოსაზრებათა გამო ს.-რ. ფრაქციას ნაადრევად მიაჩნია საბაჟო სისტემის შემოღება და წინადადებას იძლევა გადაიდოს მომავლისათვის.

**იას. ლორთქიფანიძე** (ე.-დ.) ჩვენი ფრაქცია კანონ-პროექტს მხარს უჭერს. ს.-რ. მოსაზრებანი არ არის სწორი. საბაჟო დაწესებულებანი ივლისიდან მოქმედებს და სამიოდე კვირის განმავლობაში 250,000 მან. შემოსავალი მოგვცა წლის ბოლომდე შემოსავალი დაჰფარავს ხარჯს და ხაზინასაც ფულს შესძენს.

**გ. გიორგაძე** (სამხედრო მინისტრი) სწორედ ახლა უნდა იყვეს მიღებული საბაჟო დაწესებულებათა მოწყობის კანონ-პროექტი, რადგან მას მჭიდრო კავშირი აქვს თქვენ მიერ მიღებულ სამხედრო კანონ-პროექტებთან, სხვათა შორის, სანაპირო ჯარის მოწყობის კანონპროექტებთან. საბაჟო დაწესებულებათა არსებობა რაზმების შენახვის მხრით ხარჯს არ გამოიწვევს. ჯარი საძღვარზე ისედაც უნდა დადგეს.

**შარ. შიძე.** ს.-რ. ფრაქციის წარმომადგენელს საზღვრების დამცველი რაზმების უყოლობისა ეფიქრება. სანამ შესაფერი რაზმები არ გვეყოლება, საბაჟო სისტემას ვერ შემოვიღებთო. საბაჟოების შემოღებისა და საზღვრების დამცველი რაზმების შექმნის პროცესი პარალელად უნდა მიდიოდეს. ერთი მეორეს ხელს არ უშლის. ბ. ვარაზაშვილმა რომ სტატისტიკური ცნობანი მოიყვანა—შემცდარია. შემოსავალი უმთავრესი საბაჟოსი, რომელმაც ივლისის 15 თუ 14 დაიწყო მოქმედება, უდრის 562,000 მანეთს, ხოლო ხარჯები მცირეა. ამ ვარაუდიდაც საბაჟოები შესამჩნევ შემოსავალს მოგვცემს. ხოლო როცა საბაჟო სისტემას გავაუმჯობესებთ, ცხადია, შემოსავალი გაცილებით მეტი იქნება.

ბ. ვარაზაშვილს ეშინიან პირველი მოთხოვნილების საქონლის დაბაჟებისა: კრიზისს უფრო გააძლიერებს. პური, ნავთი არ იბაჟება. ბაჟი ედება მარილს, დაბაჟევა მარილის ფასს შესამჩნევად არ ასწევს, ღვინის გარდა აზერბეიჯანიდან შემოდის აგრეთვე ბოსტნეულობა, ოსმალეთიდან თამბაქო. მომხსენებელი კითხულობს კანონ-პროექტს მუხლობრივ. საბჭო ადასტურებს

**ლ. ნათაძე.** ქართული უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წლის იანვარში ჯერჯერობით არსებობს ისტორია ფილოლოგიის ფაკულტეტი, იხსნება მათემატიკა ბუნების მეტყველობის ფაკულტეტი; გაიხსნება აგრეთვე იურიდიული და სხვ. უნივერსიტეტი შუამდგომლობს, გადაკეთდეს სახელმწიფო უნივერსიტეტად და ამგვარად დაერქვას „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ უნივერსიტეტს ექნება ფართო ავტონომია, მოვალე იქნება მხოლოდ წარუდგინოს ანგარიში ეროვნულ საბჭოს და სამინისტროს. ავტონომიის საჭიროება ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ წინაალმდეგი არავინ იქნება. სამეცნიერო ხარისხი ერთი იქნება რუსეთში ორი იყო: მაგისტრისა და დოქტორისა. სხვა დაწინაურებულს ქვეყნებში, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ ერთია. კი ახულობს მუხლობრივ უნივერსიტეტის დროებითს ძირითად დებულებათ.

**ნ. ცინცაძე (ს დ).** ჩვენი ფრაქციის სახელით შემომაქვს შემდეგი შესწორება განსაკუთრებულის შემთხვევაში პროფესორთა საბჭოს ნება აქვს მოიწვიოს უცხო პროფესორი რომელიც უცხო ენაზე წაიკითხავს ლექციას.

**დ. უზნაძე (სოც -ფედ.)** სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადს დებულებაში ხაზგასმით აღნიშნული უნდა იყვეს, რომ უნივერსიტეტში სახელმწიფოებრივს, ქართულს ენაზე უნდა იკითხებოდეს ლექციები. თუ იმისი გეშინიანთ, შეიძლება რომელიმე კათედრის დასაჭერად ქართულის მცოდნე პირი შემოგვაკლდესო, ეს შემთხვევა მხედველობაშია მიღებული და წესდებაში გარკვევით არის ნათქვამი: პროფესორთა საბჭოს უფლება აქვს მოიწვიოს უცხო პროფესორი, იმ პირობით, რომ მან ან ქართული ენა უნდა შეისწავლოს ან მოამზადოს მოწაფეები.

**ცინცაძე.** საჭიროა მაინც აღინიშნოს ძირითად დებულებაში ჩვენი შესწორება. უნდა გვახსოვდეს, რომ ძირითადი დებულებანი დროებითია და მოკლე ხანში შეიცვლება.

**შ. ქარუმიძე.** ცინცაძის შესწორება ჩვენს ფრაქციას საჭიროდ არ მიაჩნია.

**ლ. ნათაძე** მხარს უჭერს ცინცაძის წინადადებას.

საბჭო ადასტურებს სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითად დებულებათ ცინცაძის შესწორებით.

წაკითხულ იქმნა აგრეთვე ტფილისის უნივერსიტეტის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა 1918 წლის შემოდგომის სემესტრისათვის (აგვისტოს 1-დან დეკემბრის 31-დე)

**I ხარჯები:**

1) სამეცნიერო სამოსწავლო ნაწილი—148,166 მან. 60 კ.

2) უნივერსიტეტის დაწესებულებათა მოწყობა და შენახვა 109,800 მან.

3) სამდივანმწიგნობროს ხარჯი: 8.500 მან.

სხვა და სხვა ხარჯი 23,500 მანეთი. საერთო ჯამი 289,966 მან. 60 კაპ.

შემოსავალი (900 სტუდენტებისა და მსმენელისაგან თითოსაგან 100 მან 90,000 დარჩება უნივერსიტეტის სპეციალ თანხად სხვა და სხვა საჭიროებისათვის.

საფინანსო კომისიის აზრით ნავარაუდევი ხარჯის ჯამისათვის 289,866 მან. 60 კ. მაგიერ უნდა მიღებულ იქმ ას 311,300 მან. ეროვნული საბჭო მცირეოდენის დამატებით იღებს უკანასკნელს ჯამს.

**რ. ივანიცკი (საინგ. წარმ.)** იურიდიულმა კომისიამ ითათბირა სასამართლოთა ბოქაულებისა და გზირების თაობაზე და დაადგინა: სასამართლოთა ბოქაულებისა დ გზირების გასამრჯელო ნიხრი გადიდებულ იქმნას ერთი სამად; ამ კანონს ძალა აქვს ბოქაულებისათვის 1918 წლის იანვრის 31-დან; სასამართლოთა გზირებისათვის კანონის გამოქვეყნების დღიდან.

კრება დასრულდა საათის 3. შემდეგი სხდომა დანიშნულია აგვისტოს 30-ს.

ვ. ე.

# ომის დეპეშები

## დასავლეთის ფრონტი

**ბერლინი.** 8—26. საღამოს ცნობა. ინგლისელთა იერიშები ძლიერდება იმ ადგილამდე, რომელიც სკარპის ჩრდილოეთით მდებარეობს. შაპომის ორივე მხრით და სომის ჩრდილოეთით სასტიკი ბრძოლაა გაჩაღებული. მტრის იერიშები მუდამ მარცხდება. კონტრ-იერიშები გრძელდება. ლონგევალი და მონტობანი, დროებით რომ დავკარგეთ, კვლავ ჩვენს ხელშია. ავრის ჩრდილოეთით სიწყნარეა მდ. ენის ჩრდილოეთით ნაწილობრივი ბრძოლაა.

**ბერლინი.** 8—27. კრონ-პრინც რუპრეხტის და ბოინეს ლაშქარი. არასსა და სომას შუა სასტიკი ბრძოლა იყო მთელი დღის განმავლობაში. არასის აღმოსავლეთით მტერმა იერიშები მოიტანა სკარპის ორივე მხრით. მდინარის ჩრდილოეთით მტერი, რომელსაც იერიშები მოჰქონდა ცეცხლში გავხვიეთ ჩვენი რაზმების წინ, როესკენ რომ არის სკარპის სამხრეთით ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა მონშის მაღლობებზე დაიხიეს თანახმად მიღებულ ბრძანებისა, რადგან მტერმა იერიში მოიტანა უმრავი ჯავშნოსანითა და ქვეითა ჯარით. აქ დაგვხვდა გამაგრებული პოზიციები და ჩვენი ქვეითა ჯარი და არტილერია ცეცხლით დახვდა მტერს. სასტიკი ბრძოლის შემდეგ მტერმა გაარღვია მონში- გემაპეს ხაზი. კონტრ-იერიშებით მტერი კვლავ გავრეკეთ ამ ადგილის აღმოსავლეთ საზღვრამდე. მტერმა დიდძალი ჯავშნოსანით იერიშები მოიტანა შაპომის ორივე მხრით. შაპომის ჩრდილოეთით ცხარე ბრძოლა იყო მორისა და ბენატრის აღმოსავლეთით, მაღლობზე. ცხარე ბრძოლის შემდეგ ბენატრი ჩვენს ხელში დარჩა. შაპომის სამხრეთ-დასავლეთით მტერი გამაგრდა ტილუასა და მარიტინპიუმში. დანარჩენ შემთხვევაში მტრის იერიში ყველგან მოვიგერიეთ. იერაშების მოგერიებაში მონაწილეობას იღებდნენ პრუსიელები, ბავარიელები და საქსონელები. ჩვენი პოზიციების წინა და უკან მტრის ჯავშნოსები ყრია. ლეიტენანტმა სპიეჰოფმა თავის საავტომობილო ზარბაზნით მტრის 4 ჯავშნოსანი გაანადგურა. მარტინპიუშის სამხრეთით მტერი შაზენტენზე მონტობანში შეიჭრა. კონტრ-იერიშით მტერი მონტობანიდან გავრეკეთ ჩვენი ხაზები ამ ჟამად გადის ფლერის დასავლეთით, ლანგვალის დასავლეთით მარიკურტისაკენ. სომასა და უაზას შუა ბრძოლა გაცხოველდა ავრის ორივე მხრით. ადგილობრივი ხასიათის იერიშების შემდეგ ფრანგების ხელში დარჩა ფრესნუა და სენ-მარდი. ენის ჩრდილოეთით მტრის ხაზებზე მივიტანეთ იერიში და 100 კაცი დავატყვევეთ. მტრის იერიშები ამ ადგილას უნაყოფოდ ჩატარდა.

**პარიზი.** 8—27. ფრანგების ძლიერი შეტევის გამო გერმანელები იძულებული გახდნენ დაეთმოთ ავრის ორივე მხრით. ფრანგები წინ მიიწევენ 20 კილომეტრის ფრონტზე წინ სვლა ზოგიერთ ადგილას 4 კილომეტრს აღემატება. ფრანგების ჯარმა მიაღწია საერთო ხაზს შოლნის, პუნშის, ლიანკურტის, ველპილიერის დასავლეთით. იმათ აიღეს ხალლიუ, ფრონსარი, კრემერი, გრუნი, კორეპიუი, რუა, ხანსურტი და კრაპომენილი. ლასინის რაიონში და უაზასა და ენს შუა საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

**ბერლინი.** 8—27. საღამოს ცნობა. დღეს ინგლისელები და კანადელები სცდილობდნენ გაერღვიათ ფრონტი იმ ადგილას, რომელიც სკარპის სამხრეთით მდებარეობს. არრას-კამბრეს ორივე მხრით და სომის ჩრდილოეთით მტრის ძალები შემცირდა შედარებით წინა დღეებთან. მტერი ყველგან მოვიგერიეთ.

## იტალიის ფრონტი

**ვენა.** 8—27. ფრონტის მრავალ ადგილას საარტილერიო ბრძოლაა და პატრულების შეტაკება. მტრის ფრინავებმა იერიში მოიტანეს ოზემ-კრეიზე.

## ალბანიის ფრონტი

**ვენა.** 8—27. ჩვენმა ძლევამოსილმა ჯარმა განდევნა მტერი ბერანის სამხრეთით და დაიპყრო ნაწილი ტერიტორიისა. აგრეთვე ტომორიტალის ორივე მხრით, სადაც ფრანგებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს და მისი პოზიციები აიღეს.

## პალესტინის ფრონტი

**სტამბოლი.** 8—27. ვესლაას (?) დასავლეთით და იორდანეს ლმოსავლეთ ნაპირას ჩვენ გავიმარჯვეთ და მტერი გავრეკეთ. გეჯოსის გზაზე აჯანყებულები უკუვაქციეთ. მაიდანთან დავამარცხეთ ინგლისელთა ერთი რაზმი.

# უცხოეთი

**ბერლინი** 8—25. „ტემლიხე რუნდშაუ“ აღნიშნავს, რომ ამერიკელები ესპანიაში პროპაგანდას ეწევიან მოკავშირეთა ორიენტაციის სასარგებლოდ. ამერიკელები ხაზს უსვამენ, რომ მოკავშირეებმა უამრავი სურსათის შესყიდვით ხელოვნურად ასწიეს ფასები და ამით უკმაყოფილება გამოიწვიეს. ესპანიის მთავრობის ახალი ნაბიჯები და მოულოდნელი ტონი ბერლინში გაგებული იქნება ისე, თითქოს ესპანია კვლავ უბრუნდება პოლიტიკას, წინად ესპანიაში რომ ჰქონდა ადგილი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ესპანიის პოლიტიკის კურსის შეცვლა ჩრდილო ამერიკის გავლენით არ მომხდარა, რადგან ესპანიის ხალხს კიდევ ახსოვს ამერიკის მავნე პოლიტიკა ესპანიის მიმართ.

**მოსკოვი.** 8—25. სემირეჩინის ფრონტზე საბჭოს ჯარმა 2000 ჩეხ-სლოვაკი ამოჟლიტეს. საბჭოთა ჯარი მხნეთ არის. ასხაბადის ფრონტზე სად უჩხოჯი აიღეს. ყაზანებსა და მენშევიკებს შორის მომხდარ უთანხმოების დროს დაატუსაღეს მენშევიკების წინამძღოლები.

**მოსკოვი.** 8—26. ტ. აღმ. კომ. ბიულეტენი. გერმანიაში მუშათა გაფიცვა გრძელდება. შემჩნეულია ინგლისის და საფრანგეთის მუშათა გარევოლიუციონერება. იტალიის მდგომარეობა მისი ძველი მტრის ავსტრიის მდგომარეობას გვაგონებს.

ესპანიაში მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება საერთოდ მოღლილობა ემჩნევათ ნეიტრალურ ქვეყნებსაც, სადაც დემონსტრაციები ხდება, დემონსტრაციების დროს პოლიციასთა შეტაკებასაც აქვს ადგილი.

**მოსკოვი.** 8—26. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა მტკიცეა. ყველა ყრილობა იწონებს სახალხო კომისარების და ცენტრ. აღმ. კომიტეტის პოლიტიკას. კონტრ-რევოლიუციონერებს სასტიკად სჯიან: მოსკოვში კომისიამ რამდენიმე კონტრ-რევოლიუციონერი—ჟანდარმერიის მოსამსახურე—დახვრიტა, რადგან აღმოჩნდა, რომ იგინი კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლისთვის ემზადებოდნენ.

**უკრაინაში.** გრძელდება აჯანყებულთა მოძრაობა. ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარემ პროტესტი განუცხადა გერმანიის წარმომადგენლებს უკრაინაში, კრასნოვის ლაშქრის შედგენის გამო. ბარონ მუმმა უპასუხა, რომ გერმანიის მთავრობამ ზომები მიიღო, რომ აკრძალულ იქმნას ამ ლაშქრისათვის მოხალისეთა მოწვევა, როგორც აშდილად, ისე ფარულად.

**მოსკოვი.** 8—26. ცენტრ. აღმ. კომ. ბიულეტენი. მოსკოვში ახლო მომავალში ძეგლს აუგებენ ყველა ცნობილ მოღვაწეს —რევოლიუციონერს, მწერლებს, მეცნიერთ, ფილოსოფოსთ და მსახიობთ. მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მო კოვის მექანდაკენი. 2 3 თვის შემდეგ მოსკოვში აგებულ იქნება მარქსის, ენგელსის, ბებელის, სტენკა რაზინის, დეკაბრისტების, პლეხანოვის, კალიაევის, შევჩენკოსი, კოლცოვის, ნეკრასოვის, ვრუბელის. რიმსკი კორსაკოვის, შოპენის, სკრიაპინის და სხვათა ძეგლები სულ განზრახულია 61 ძეგლის აგება.

სურსათის კრიზისის გამო, მოსკოვის დეპ. საბჭომ ნება დართო მუშებს და მშრომელებს მოიტანონ მოსკოვში თავისთვის 1—2 ფუთი სურსათი

1919 წლის იანვრის 1-დან რუსეთის რესპუბლიკაში შემოღებული იქნება საერთაშორისო მეტრიულ სისტემა საწყაულთა და საწონთათვის.

**მოსკოვი.** 8—27 ტ აღმ. კ. ბიულეტენი. საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა 4 ნოტა გაუგზავნა გერმანიის კონსულს. ჩიჩერინი პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ გერმანიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ჩავიდნენ ყირიმის მთავრობის წარმომადგენელი ტატიშჩევი და დონის წარმომადგენელი ჰერცოგი ლეინტენბერგელი. დონი და ყირიმი რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკის ნაწილებს შეადგენს და არავითარი მოლაპარაკების გამართვა არ შეიძლება მათთანო; ჩიჩერინი პროტესტს აცხადებს აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ გერმანულ-უკრაინულ რაზმებმა სადემარკაციო ხაზი გადალახეს სოფ. ბოლშოე სოლდატსკოესა და სარატოვკის შესართავთან. მოთხე ნოტა ეხება ალანდის კუნძულზე დარჩენილ სამხედრო და საზღვაო ქონების საკითხს, რომლის განხილვა მარიენჰამის კონფერენციაზეა დანიშნული, ჩიჩერინი ამის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს.

მონარქისტების გაზეთი „გოლოს კიევა“ იცავს დამფუძნებელი კრების იდეას, რომელიც მისი აზრით უნდა გამოყენებულ იქნას მხოლოდ ბოლშევიზმთან ბრძოლის მიზნით ამით დამფუძნებელი კრების იდეის მისიაც შესრულებული იქნებაო

# ახალი ამბავი

✦ **დანიშვნა.** ქუთაისის საადგილმამულო სამმართველოს წევრად მიწათმოქმედების სამინისტრომ ბ. ფაღავა დანიშნა.

✦ **ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში** ქართულ იურიდიულ საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე არჩეულ საორგანიზაციო კომისიის კრება გაიმართება პარასკევს, მარიამობისთვის 30-ს საღამოს 7 საათზე ნაფიც ვექილის გ. ჟორდანიას ბინაზე (სასამართლოს ქუჩა № 26) განსახილველია ქართულ იურიდიულ საზოგ წესდების პროექტის და იურისტთა საზოგადო კრების მოწვევის საკითხი.

✦ **ყრილობა.** პარასკევს, აგვისტოს 31-ს მუშათა კლუბში დანიშნულია საერთო ყრილობა ამიერკავკასიის კოოპერატიულ ორგანიზაციების მოსამსახურეთა სხვა და სხვა საქმეების განსახილველად.

✦ **შრომის ბირჟა.** რადგანაც შრომის ბირჟაში ძლიერ შემცირდა მუშაობა, ბირჟის გამგე სთხოვს ქალაქის გამგეობას შეძცირებულ იქნეს ამ დაწესებულებაში მოსამსახურეთა შტატი.

✦ **კლუბები** ტფილისის ქალაქის გამგეობამ გაუმეორა ტფილისის ყველა კლუბებსა და სხვა გასართობების პატრონებს აუცილებლად ღამის 11 საათზედ იკეტებოდნენ. მიზეზი ასეთი განკარგულებისა ის არის, რომ გასართობებსა და კლუბებში 11 საათიდანაც გრძელდება გასართობები, რამაც გამოიწვია სინათლის გაძვირება. 30 კაპ. ღირებული სანთლის ფასმა 50 მან. აიწია. რადგანაც მასალა ძლიერ დაილია და ბაქოდან მიღების იმედი კი ჯერ არ არის, შესაძლებელია ერთი კვირის შემდეგ სულ სიბნელეში დავრჩეთ, თუ სანთელი არ გვექნა.

✦ ალექსეევის ქუჩაზე სახლი № 3 მცხოვრებს დავით კარაპეტიანცს რიყის ქუჩაზე აგვისტოს 21 ს გაუტეხეს მაღაზია და გაიტანეს სულ 8000 მან. სალიერალი ნივთები. საქონლის ქურდების აღმოსაჩენად ღონისძიებანია მიღებული.

✦ **ქურდობა** აგვისტოს 24-ს არტილერიის ქუჩაზე მე-9 № სახლში მცხოვრებ აბრამ ცოცილაშვილის მის შინ არ ყოფნის დროს მისი სახლის გატეხით შეპარულან ქურდები, გაუტეხიათ საწერი მაგიდა, ამოუღიათ ფულად 16,900 მან. და ბრილიანტის ნივთები 3000 მან. ღირებული და მიმალულან. ქურდების აღმოსაჩენად გამოძიება სწარმოებს.

✦ **ძარცვა.** აგვისტოს 62-ს ელისაბედის ქუჩაზე სახლი № 90 ვართან ერზიგანოვს გაუტეხეს ქურდებმა ბინა და გაიტანეს ოქროს ნივთები 3150 მან. ღირებულებისა. ვინაობა ქურდებისა გამოურკვეველია.

✦ **სომეხთა სემინარია** ტფილის საქალაქო მილიციის უფროსმა ამას წინად 1000 მან. ჯარიმით, ან ამის ნაცვლად სამი თვის დაპატიმრებით დასაჯა სომეხთა სემინარიის გამგე გალუსტა ჩონიანცი აღნიშნულ სემინარიის სადგომის ანტისანიტარულ მდგომარეობის გამო სემინარიის სამზრუნველო შუამდგომლობს ქალაქის გამგეობის წინაშე არ გადაჰხდეს ჯარიმა, რადგანაც მილიციის მიერ შედგენილი ოქმი ანტი-სანიტარულ მდგომარეობის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამებაო.

✦ **მოპარვა** აგვისტოს 28, ღამით ქურდები შეპარვიან კრილოვის ქუჩაზე მცხოვრებ გრიგოლ ფონლეევს და გაუტანიათ ძვირფასი ნივთები სულ 7000 მან. ღირებულობისა. გამოძიებით ქურდები აღმოჩნდნენ იმავე სახლში მცხოვრები ვინმე ანტონ რიპპი და იური ნიკოლ-ძე ბაიბოვი, ორივე ბოროტ-მოქმედი დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს.

✦ **სასტუმროების გაჩხრეკა.** აგვისტოს 27-ს მოხდა ტფილისის ყველა საუკეთესო სასტუმროს ჩხრეკა.

✦ **ტფ. ქალაქის თავის განკარგულება.** ქალაქის თავმა განკარგულება მოახდინა, რომ ყველა გასართობი დაწესებულება დაკეტილ იქმნას სრულ 11 საათზე, მიუხედავად იმისა, სანთლით იქნება განათებული, თუ ელექტრონით.

✦ **სახალხო გვარდიის** მთავარი შტაბი, თანახმად თვისი დადგენილებისა, სთხოვს მთავრობის თავმჯდომარეს მოახდინოს განკარგულება ყველა მთავრობის დაწესებულებაში, რომ მოსამსახურეებმა და მუშებმა, რომელნიც სახალხო გვარდიაში ირიცხებიან, ჯამაგირები იმ დღისა, როდესაც ისინი დარაჯობაში იმყოფებიან, აუნაზღაურონ და ანგარიში წარუდგინონ მთავარ შტაბს, რომელიც დაუყონებლივ გაუსწორდება ამ დაწესებულებებს.

✦ **დანიშვნა.** მეხუთე ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად დაინიშნა გორის გიმნაზიის დირექტორი ზაალიშვილი.

— მიხეილის სახელობის საავადმყოფოს მთავარ ორდინატორ როზენბაუმის მაგივრად დაინიშნა ექიმი გრ. მუხაძე.

✦ **ფონ-კრესის წასვლა.** ამ დღეებში ერევანს მიემგზავრება გერმანიის დელეგაციის უფროსი გენ. ფონ-კრესი.

✦ **ლტოლვილები.** ... ტფილისში კავკავიდან ჩამოვიდა რამდენიმე ფურგონი ლტოლვილებით ... ნიც გამოირკვა ... რომ ხალხში ... შიშიანებ ... თა ... მიმართ ... 1300 მან. გადასახადს შემდეგ კი ... ლებენ საქართველოს საზღვრებამდე.

✦ **ნავთის დამუშავება.** შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა ტფილისის გუბერნიის კომისარს ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინოს ინჟენრების წრეს, რომელიც გზათა მიმოსვლის სამინისტრომ გააგზავნა ნავთის აღმოსაჩენად სოფ. ილდიკანში, თიანეთის მაზრაში.

✦ **სახოფლო კომისიამ** დაადგინა 1) წინადადება მისცეს მიწათმოქმედების სამინისტროს, გაგზავნოს დუშეთის მაზრაში მიმღები კომისია; 2) ეთხოვოს საგამომძიებლო კომისიას მიიღოს ყოველნაირი ზომები ბნელი ძალების დასა... საღებლად.

✦ **ლტოლვილები ფოთში.** რუსეთ... ეროვნულ საბჭოს ფოთის საბჭოს წარმომადგენელი დეპეშით შემდეგს ატყობინებს: „გაუწყებთ, რომ ფოთში ამ ჟამად 1500 ლტოლვილი იმყოფება, რომელნიც რუსეთში აპირებენ წასვლას, ესენი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მრავალი გემი მოვიდა, რომლებითაც ლტოვილნი უნდა გაემგზავრონ. უკრაინის კომისარმა ფოთის ნავთსადგურის უფროსს სთხოვა, რომ მის ნებადაურთველად მგზავრები არ მიიღონ გემებზე, რადგანაც საჭიროა უკრაინა არა სასურველ ელემენტებისაგან განთავისუფლონ. საჭიროა ... განკარგულების გაუქმებაზე ... ტფილისში გრიმადას“.

✦ **ქართულ-გერმანულ საზ. კრება.** დღეს, ხუთშაბას, აგვისტოს 29, საღამოს სრულს 3 საათზე შესდგება ქართულ-გერმანულ კულტურულ საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა ფრეილინის ქ. № 11. წევრთა დასწრება ყოვლად მიუცილებელია.

✦ **ნავთი თიანეთის მაზრაში.** მთავრობამ წინადადება მისცა გზათა მინისტრს სასწრაფოდ შეუდგეს მუშაობა თიანეთის მაზრაში, სოფ. ილდოკანის ნავთიან ადგილებში. ამისათვის საჭ... გებო თანხაც გადაიდვა.

✦ **პური.** ტფილისის გამგეობის სურსათო განყოფილების ცნობით ... ხეთში კოდი (3 ფ. 10 გირვ.) ხორბალი 300 მ, ფასობს. მაგრამ გლეხები პურს მაინც არ იძლევიან ფულზე; ისინი ... ხოვენ პურის გადაცვლას საქონელზე. საქონლის გაცვლა-გამოცვლას ბრწყინვალედ ახერხებენ ჩარჩები. ქალ. გამგეობის მიერ გაგზავნილი საქონელი ... ნებით ნავთლუღს იქით ჯერ-ჯერობით არ მიდის.

✦ **პურის ფასი.** ჩვენ გაზეთში ... დომით იყო მოხსენებული, ვითომ ... სამინისტროს რწმუნებულ ბ-ნ არ... ლისათვის ნება დაერთოს პურის ... აწევისა 100 მანეთამდე. როგორც ... გეთ, ფასები ისევ წინანდელი რჩება.

✦ **ხოლერა.** ქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს 9 ხოლერიანი და 4 ... ავადმყოფი სხვა განყოფილებიდან ... ლერიანში გადმოიყვანეს 3. მორჩა ... გარდაიცვალა 6. აგვისტოს 27-ს ... იყო 43 ხოლერიანი და 12 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი.

✦ **შაქარი.** სანიტარულ-საექიმო ... ჰომ საჭიროდ სცნო ხოლერის გავრცელების გამო გადიდებულ იქმნას შაქრის რაციონი და მცხოვრებლებს უფასოდ მიეცეს ადუღებული წყალი.

✦ **დატუსაღებულთა განთავისუფლება.** აგვისტოს 15-ს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლისათვის დაპატიმრებული კადეტთა კომიტეტის წევრი ... გაანთავისუფლეს აგვისტოს 26 ს. ... თავისუფლეს აგრეთვე დახურულ ... თის „ნაროდნაია სვაბოდა“-ს მდივანი ტ. ახუმიანი, იმ პირობით, რომ 7 დღეში საქართველოს რესპუბლიკიდან წავიდეს.

# საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, ხუთშაბათს, აგვისტოს ... პარტიულ კლუბის დარბაზში, ... მოს 7 საათზე (ახ. დროით) შე... საერთო კრება საქართველოს რესპუბლიკის ყველა რკინის გზების მ... მსახურე ამხანაგებისა. განსახილველი სასწრაფო საკითხები. ყველ... ნავის დასწრება სავალდებულო

დღეს, ხუთშაბათს 29 აგვისტოს, პარტიულ კლუბში დანიშნულია შეერთებული კრება ტფილ. მუშათა კავშირის გამგეობის და ტფილ. საქალაქო კომიტეტისა, კრების საგანია —**კონფერენცია**. ამხანაგებს ვთხოვთ დროზე მოვიდნენ. კრება დაიწყება სად. სრულ 7 საათზე, (ახ. დროით.)

—

**ნაძალადევში.** პარასკევს, 30 აგვისტოს, ნაძალადევში, საეკლესიო სკოლის დარბაზში გაიმართება მორიგი პარტიული სარაიონო კრება: მოხსენებას წაიკითხავს ამხ. **ვახტანგ კოტეტიშვილი** შემდეგ თემაზე: **ჩვენი მესამე კონფერენცია და მისი მიზნები.**" მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. კრების დასაწყისი სად. 7 საათზე. (ახ. დროით)

# უკრაინაში

**(კიევი 1918 წ. მარიამობისთვის 8)**

სამ თვეზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც უკრაინაში შესდგა ახალი მთავრობა გეტმანის „მფარველობის ქვეშ".

ქართველ საზოგადოებას ალბად ეცოდინება, თუ რა პირობებში შესდგა მთავრობა, ეცოდინება უმთავრესი მიზეზი უკრაინის უმცირეს, რეაქციონურ ნაწილის ლტოლვის ასე დაგვირგვინებისა.

ჩვენ მხოლოდ მოკლედ დავანახვებთ ჩვენს მკითხველებს, თუ რა დასკვნამდის მივიდა ის მთავრობა, რომელმაც დაბადების დღიდანვე დეკლარაციული ხასიათით ამცნო ქვეყანას: „უმთავრეს მიზანს მთავრობისას შეადგენს სუყველა იმ სახელმწიფოებრივი მუხლების და წესიერების აღდგენა, რომლებიც უზრუნველ ჰყოფენ *) **ნამდვილ თავისუფლებას და საშუალებას მოგვცემენ მოვიწვიოთ დამფუძნებელი კრება ისეთ პირობებში, რომ არც-ერთ ჯგუფს, არც-ერთ პარტიას საშუალება არ მიეცეს დაამახინჯოს ნამდვილი სწრაფვა უკრაინის ხალხისა მომავალ სახელმწიფოებრივ წყობილების შენებაში"**-ო.

საკმაო დრომ განვლო ამ დეკლარაციის შემდეგ—რომ ჩვენ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა ხასიათი მიიღო ამ „ნამდვილმა თავისუფლებამ", რა სახეს მიიღებს ის მომავალში, როგორ ესმით ეს ნამდვილი თავისუფლება და უმთავრესი—ვის უნდა ამ უკანასკნელის ცხოვრებაში გაყვანა.

ზემო აღნიშნული დრო საკმაო შეიქნა იმისთვის, რომ განვიხილოთ—თუ რა ფორმებში იხსმება უკრაინის მშრომელი ხალხის „დაუმახინჯებელი სწრაფვა მომავალ სახელმწიფოებრივ ცხოვრების შენებაში".

*) ხაზი ჩემია. ნ. ჩ.

თავისუფლებით სიტყვის, ბეჭდვის, კრების აღკრძალვა, სისტემატიური ბრძოლა სუყველა დემოკრატიულ და სოციალისტურ ორგანიზაციებთან და ბოლოს სრული მათი ლიკვიდაცია (ჯერჯერობით დარჩა სოციალისტური—ქალაქის თვით-მართველობა, რომლის გარეკვას მოელიან ახლო მომავალში)—აი ის, რომლის საშუალებით ლამობენ დღეს უკრაინაში „ნამდვილ თავისუფლების" აღდგენას....

გადაავლეთ თვალი იმათ, რომლებიც საკმაოდ „მაღალ" ადმინისტრატიულ ადგილებში მოკალათდნენ და თქვენ დაინახავთ, რომ ნამდვილ თავისუფლების განმტკიცება მიენდო იმ პირთ, რომლებიც ხალხს ძალათ აჩრიდა პირში მაკლაკოვისა და სტოლიპინის თავისუფლებას.

უკრაინაში სწრაფად მოხდა მობილიზაცია პოლიციელებისა, ჟანდარმებისა და რეაქციონურ ჩინოვნიკებისა. „პრისტავებმა", „ისპრავნიკებმა", პოლიცმეისტერებმა კვლავ ფრთები შეისხეს და ქორებად მოევლინენ მცხოვრებლებს. ასე მოხდა ქალაქებში. სოფლებში კი უფრო გაბედულად და ორგანიზაციულად მოიწვიეს შეუგნებელ გლეხობის ბატონპატრონად „ხელმწიფის ყოფილი ერთგულნი მსახურნი.

პოლიტიკური ცხოვრება დაიწყეს იქიდან, სადაც ის გაწყდა 27 თებერვალს 1917 წ.

— უკრაინის მიწის მფლობელებს, ეგრედ წოდებულ „ხლებორობებს", რომლებმაც ასეთი „დიდი როლი" ითამაშეს გეტმანის არჩევაში,—მალე გაეღვიძათ და საჭიროდ ხედავენ გავლენა იქონიონ უკრაინის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ჯერ კიდევ რევოლიუციის ხანაში ეს ვაჟბატონები ბრალსა სდებდნენ მშრომელ გლეხობას იმის გამო, რომ გლეხობა სიბნელითაა მოსილი, რომ იგი სრულიად მოუმზადებელია ახალი ცხოვრების შესასისხლხორცებად, რომ მას რევოლიუციის პროცესი ესმის მხოლოდ პირადი მატერიალური მხარის დაკმაყოფილებაში და სხვა და სხვა.

ეხლა კი..

დამთავრდა მიწის მესაკუთრეთა სხდომები ამ სხდომებზე ისეთი „პოლიტიკური" რეზოლიუციები ცხვებოდა, რომლებიც ნათლად მოწმობენ მათ სრულ პოლიტიკურ სიბეცეს

„.... აღდგენილ იქნას სამხედრო წესები, გაუქმებულ იქნას, მოისპოს, გადაგზავნილ იქნას....."

— მალე შორს წავიდა; მესაკუთრეები ლამობენ ძველის ხელშეუხლებლად აღდგენას.

მათ ხანგრძლივი სხდომების შემდეგ ის დასკვნა გამოიტანეს თითქო რევოლიუციის მოხდენა—ეს ივანეს და პეტრეს საქმეა, რომ დროზე ვერ ალაგმეს სოციალისტური სულით მოწამლული „ჩინოვნიკები". გააუქმდეს ერობა, გადაგზავნილ იქმნეს საზღვარ გარეთ სუყველა ჯურის სოციალისტები"—მაშინ გამეფდება წესიერება და სიმშვიდე.—აი დღევანდელ დღიურის წესრიგი უკრაინელ მიწის მფლობელთა.

მთავრობა, რასაკვირველია, ხელ ხელ ჩაკიდებული მიდის მათთან. ასეთი დაძმობილების ნაყოფი უკვე იგემა სოფელმა მთავრობის განკარგულებით მემამულეებს საშუალება ეძლევათ დამუშავებული მიწები, რომლებიც გლეხებმა სოც. მთავრობის დროს დაირიგეს—უკან ჩამოართვას, ეს იწვევს გლეხობაში უკმაყოფილებას... ერთი შეიარაღებული სოფელი უერთდება მეორეს, მეორე—მესამეს და ამ რიგად ხდება ის, რაც აშკარაა და გასაგები ყოველ რეპრესიების შემდეგ: ანადგურებენ მემამულეთ და მხოლოდ გერმანელ რაზმთა ენერგიული ჩარევა—დროებით აჩერებს ასეთ გამოსვლებს.

ეხლანდელ მთავრობას კი მხოლოდ ემამულეთა ინტერესების დაცვა აქვს დასახული რის გამო გლეხობა უმწეო მდგომარეობაში ვარდება.

აგრარული საკითხის ასე მიჩქმალვა დიდ საფრთხეს უმზადებს არამც თუ მთავრობას—არამედ მთელ უკრაინას. ამას ანგარიშს უწევს ადგილობრივი პრესა; კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მთავრობის მოუფიქრებელ ნაბიჯებს, მაგრამ—ამაოდ. რაც რევოლიუციით მოიპოვა მშრომელმა გლეხობამ და სოც. რადამ, თუ სულ ვერ მოაგვარა, დროებით მაინც დააკანონა ეს მონაპოვარი—გეტმანის მთავრობამ ერთის ხელის მოქნევით გაანადგურა.

23 მაისს გაიხსნა ყოფილ ცენტრ. რადაში საზავო კონფერენცია რუსეთისა და უკრაინის მთავრობის წარმომადგენელთა. პირველი სხდომები იმას მოუნდა რომ ორთავე მხარეს ემტკიცებინა სრულ უფლებიანობით აღჭურვა თავიანთ მთავრობიდან ზავის შესაკვრელად. აქ რასაკვირველია ოფიციალურ მხარეს უფრო მიექცა ყურადღება ვიდრე საქმიანს. შემდეგ ბოლო არ მოეღო ეგრედ წოდებულ დემარკაციონულ ხაზს... არჩეულ იქმნა ათასგვარი კომისიები, რომლებიც ამ საკითხზე მხოლოდ ივლისის შუა რიცხვებში შეთანხმდნენ. გაიხსნა საფოსტო და სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა უკრაინასა და რუსეთს შორის ახლო მომავალში, როგორც ეს ჩანს საზავო კონფერენციის სხდომებიდან—დაიწყება ეკონომიურ ნიადაგზე ურთიერთობა ამ ორ სახელმწიფოთა შორის.

ივლისის 14 დაიწყო უკრაინის რკინის გზებზე მომუშავეთა საერთო გაფიცვა. გაფიცვა სწარმოებდა ეკონომიურ ნიადაგზე და გაგრძელდა ორ კვირას, თუმცა ოფიციალურად რკინის კომიტეტისაგან—არც ახლაა შეწყვეტილი გაფიცვა. უკრაინის რკინის გზაზე მომუშავეთა ეკონომიური მდგომარეობა მართლაც აუტანელი იყო. ყურადღება რომ არ მივაქციოთ საერთო სიძვირეს, მათი ყოფა მით უფრო საშინელი იყო, რომ სამი თვის ჯამაგირი არ ჰქონდათ მიღებული და მთავრობა დაკმაყოფილების ნაცვლად დღეს-ხვალ და ხვალ-ზეგით ისტუმრებდა. მოსამსახურეთა პროფესიონალურმა კავშირმა რკინის გზის კომიტეტის სახით არა ერთხელ მიმართა მთავრობას, მიეღო ზომები და დღევანდელი მწვავე ეკონომიური მხარე მუშების ცოტათი მაინც გაეუმჯობესებინა. სუყველა ეს დარჩა უყურადღებოდ და კომიტეტმა გაფიცვა გამოაცხადა. გაფიცვას მოჰყვა სურსათ-სანოვაგზე ფასების საზღაპროდ აწევა. გირვანქა პური 2—3 მან. ნაცვლად 5—6 მანეთი შეიქნა.

ქალაქის მუშები ამის გამო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. მთავრობამ დაკმაყოფილების ნაცვლად რეპრესიებს მიმართა. დაპატიმრებული იქნა ეგრედწოდებული, გაფიცვის კომიტეტი და სუყველა მუშები—დათხოვნილი. ორგანიზაციული სახე მუშებისა ძლიერ სუსტი აღმოჩნდა და მათში რყევამ იჩინა თავი. ნაწილი მუშებისა შეუდგა მუშაობას, ნაწილი კი—არა.

მთავრობამ სამი თვის ჯამაგირით დააკმაყოფილა მუშები, მაგრამ დანარჩენი მოთხოვნილობების ერთი მუხლიც არ დაუკმაყოფილებია... დამარცხდა მუშები... და ეს იმიტომ რომ გაფიცვამ ბოლო ხანებში მახინჯი სახე მიიღო... იქ სადაც მეტ შეგნებას, ორგანიზაციას ველოდით—არ აღმოჩნდა.

—

საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, უკეთ, დამოუკიდებლობას სხვა და სხვა თვალით უყურებენ, როგორც ბოლშევიკურ რუსეთში ისე უკრაინაშიც.

ამ სხვა და სხვაობათა შორის თვალსაჩინოა ორი აზრი. პირველი: 1) რომ საქართველოს დღევანდელი დამოუკიდებლობა არის ბუნებრივი შედეგი იმ საერთაშორისო მდგომარეობისა, რომელიც შეიქნა რუსეთში ბოლშევიკურ ანარქიისა და სამოქალაქო ომის წყალობით და მე-2)—რომ მან ზურგი აქცია რუსეთს, უღალატა საყოველთაო პრინციპს და უაღრესი ნაციონალისტობა გამოიჩინა.

პირველ შეხედულებას გულწრფელად იზიარებენ სუყველა სოციალისტური პარტიები, გარდა ბოლშევიკებისა, მეორეს კი—ბოლშევიკები და უკიდურესი მემარჯვენენი. (ამ ორ პარტიათა შორის დღეს ცოტა განსხვავებაა!)

ივნისის 30 ს „იზვესტიაში" ვკითხულობთ: „ბრძოლაში გარკინებული და უშიშარი, კავკასიის პროლეტარიატის ნებისყოფის გამომხატველი—დაშნაკცუთიუნთა სარევოლიუციო პარტია უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძვის და სხვ შემდეგ ამავე „პარტიაზეა" ნათქვამი, რომ ის „საუკუნეთა განმავლობაში იცავდა რუსეთისა და ამიერკავკასიის პროლეტარიატის ინტერესებს ..

ამ „პარტიის" აგენტები ბოლშევიკურ გაზეთებში ყოველ დღე გაჰკივიან ასეთ ჰანგზე.

საინტერესოა ის გამოხმაურება, (რასაკვირველია არა ოფიციალური), რომელიც გამოიწვია წერეთლისა და ჟორდანიას მიმართვამ რუსეთის სოციალდემოკრატიისადმი. „კიევის აზრი" (მენშევიკური ორგანოა) თავის მოწინავე წერილში ივნისის 26-დან სწერს: „..ჩვენ არაფერი ვიცოდით ამიერკავკასიის [illegible], მაგრამ ჩვენ ვიცოდით ქართველ, ბრძოლაში გამოჭედილ დემოკრატიის სიმხნევე. ჩვენ ვგრძნობდით, რომ იქ, „კავკასიაში ხდება უსაშინელესი ტრაგედია, [illegible] სიბრმავის [illegible] კავკასია-რუსეთს, [illegible] ვაჭრობდა საერთაშორისო ბაზარზე. ი. წერეთლის წერილი ნათლად მოწმობს—თუ რა ტრაგედია განიცადა მთელმა კავკასიამ და მისმა საგრძნობმა და საუკეთესო ნაწილმა—საქართველომ... ჩვენ გვახსოვს მოსკოვის თათბირზე ჩხეიძე, როდესაც ის უსაყვედურებდა რუსებს, რომ მასში ეროვნული თვით შეგნება სუსტია... ჩვენ გვახსოვს რომ ი. წერეთელი, რომელიც რუსეთის დემოკრატიას სათავეში ედგა—მთელი თავისი ენერგიით ცდილობდა არ დაერღვია რუსეთის დემოკრატიის მთლიანობა ჩვენ გვახსოვს, რომ ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოს გახსნის დროს ხაზი გაუსვა რუსეთისა და საქართველოს დემოკრატიის განუყოფლობას..

... და ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს დემოკრატია არამც თუ არ კარგავდა იმედს რუსეთის დემოკრატიისადმი, არამედ მის აღორძინებაში და გამაგრებაში ხედავდა თავის უმთავრეს პრაქტიკულ საქმეს".

შემდეგ ვკითხულობთ-რა ზოგიერთ ადგილებს ცნობილ წერეთლის მიმართვიდან—გაზეთი განაგრძობს: „მარტის 31-ს ამიერკავკასიის მთავრობამ შესწყვიტა მოლაპარაკება ოსმალეთთან და რუსეთის დემოკრატიას მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ ეს მიმართვა ვერ მივიდა ასეთ მისამართით. ის ალბად ჩაიგდო ხელში რომელიმე ბოლშევიკურმა „ობრანკამ" და „მუშათა-გლეხთა" მთავრობამ მახვილი ჩასცა ზურგში კავკასიის დემოკრატიას. ჩვეულებრივმა ლალატმა ლენინის გმირებისამ გამოიღო თავისი შავი ნაყოფი.

საქართველოს დემოკრატია დამარცხდა რამოდენიმეჯერ და რომ სულ არ ჩავარდნილიყო ოსმალეთის ხელში—იძულებული შეიქნა კვლავ დაეწყო მოლაპარაკება და ამისათვის კი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა.. და თუ ი წერეთელი სწერს: ჩვენ მხოლოდ რეალურ ფორმებში ჩამოვასხით ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენვე სურვილის წინააღმდეგ შეიქნა"-ო — ჩვენთვის აშკარაა ამ სიტყვებში უსაშინელესი ტრაგედია ქართველ დემოკრატიისა, რომელიც თავის სურვილის წინააღმდეგ, ოსმალოსა და ბოლშევიკურ მეზავეთა წყალობით იძულებული შეიქნა უკანასკნელ საშუალებისათვის, დამოუკიდებლობისათვის მიემართნა..

ქართველი დემოკრატია არ სცემს ბუკს და ნაღარას იმის გამო, რომ მან რაღაც მაღალ იდეალს თავის დიდხნის გულის სწრაფვას მიაღწია. ის არ ატყუებს არც თავის თავს და არც სხვასო".

ვასო ჩხაძე

# რაჭველ-ლეჩხუმელებს

ამხანაგებო! თქვენ იცით, თუ რა დიდ გაჭირვებას განიცდის დღეს ჩვენი სამშობლო—საქართველო. ასის წლის მონობის შემდეგ ჩვენ გავნთავისუფლდით

# შრომა თუ კაპიტალი?

**აგრარულ რეფორმისათვის.**

აგრარული რეფორმა ამ ჟამად დღიურ საკითხად არის დასმული. ამ საკითხის გადაჭრა დღეს პრაქტიკულად უნდა მოხდეს. მაგრამ აგრარულ პრაქტიკისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მეცნიერული აგრარული თეორია. ჩვენც ამ თეორიას ყურადღება მივაქციეთ და წერილებით „აგრარული საკითხი საქართველოში გვიხდოდა ამ მიზნის მიღწევა. რომ უფრო ადვილად შევასრულოთ ჩვენი განზრახვა და აგრარული თეორია, აგრარული მოძრაობა დაუკავშიროთ ჩვენს აგრარულ პოლიტიკის საკითხს და ამავე დროს მკითხველსაც გაუადვილოთ თვალყურის მიქცევა ამ საქმისადმი, ჩვენ თითო, დამოუკიდებელ წერილების სახით განვაგრძობთ კვლევაძიებას.

—

დღეს სოფელში მთავარ მომქმედ ძალას შრომა და კაპიტალი წარმოადგენს. [illegible] სოციალურ-კოოპერატიულ მეურნეობას უკავშირდება, მეორე—კაპიტალისტურს. ერთი მოითხოვს ხელოვნურ პოლიტიკას, რეგლამენტს, წესებს, ფორმულებს, მეორე კი—თავისუფალ კონკურენციას. კაპიტალიზმი თვითვე ქმნის თავის ფორმას, მას საკუთარი სტიქია და ფილოსოფია აქვს. კითხვა იბადება, სოფელში კაპიტალისტური სტიქია ფეხს იკიდებს თუ შრომის ფორმულა იმარჯვებს, ე. ი. მეურნეობის სტიქია საზოგადოდ შრომის პრიორიტეტს ქადაგებს თუ კაპიტალის? აი ეს საკითხი თუ არ გამოირკვა ჩვენს აგრარულ ნაბიჯსაც უსისტემობის, შემთხვევის და სტიქიის ხასიათი ექნება.

ვნახოთ ამის ფაქტები.

ინტენსიურ მეურნეობის დროს სოფლის წარმოებაში უმთავრესად შრომას აქვს მნიშვნელობა. დავიდის გამოკვლევები სავსებით გვიმტკიცებს, რომ საერთო კულტურის უმაღლესად ინტენსიფიკაციის ხანაში გლეხ-კაცისათვის ფიზიკურ ენერგიის ხარჯვა უფრო მიზანშეწონილი და სასარგებლოა ვიდრე ყველგან და ყველაფერში იარაღის, ქიმიურ მასალების და სხვ. ტეხნიკურ საშუალებათა გამოყენება. მეურნეობაში თან და თან მეტ ადგილს იჭერს არა მარტო მუშის ფიზიკური ენერგია, პარალელურად პირუტყვის მოშენებაც აგრე სწარმოებს და კულტურული სამრეწველო მიზნით სასარგებლო ხვადაგს ამრავლებს ხალხი. ითვლებოდა ათასი თავი:

| | | ცხენი. | ძროხა და ხარ-კამეჩი | ცხვარი | ღორი |
|---|---|---|---|---|---|
| დიდ ბრიტანეთში | 1870 წ. | 1,309 | 5 817 | 28790 | 2485 |
| | 1913 „ | 1,324 | 6963 | 23931 | 2233 |
| საფრანგეთში | 1862 „ | 2914 *) | 12811 | 29529 | 6037 |
| | 1913 „ | 3230 | 14807 | 16213 | 7047 |
| გერმანიაში | 1883 „ | 3522 | 15786 | 19189 | 9206 |
| | 1912 „ | 4523 | 20182 | 5504 | 25591 |
| შვეციაში | 1866 „ | 283 | 1242 | 586 | 632 |
| | 1913 „ | 267 | 1849 | 185 | 1412 |
| დანიაში | 1881 „ | 347 | 571 | 1548 | 527 |
| | 1909 „ | 585 | 972 | 726 | 1467 |

ამ ქვეყნებში ყველაზე ყოველმხრივ ძლიერი და ყველა დარგში პროგრესის ძალით აღჭურვილი ქვეყანა გერმანიაა პირუტყვის თითქმის ყოველი ჯური გამრავლებულია გერმანიაში, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი გამრავლება ეტყობა ღორს, ხოლო თან და თან კლებულობს და მოსპობის გზას ადგია ცხვარი. ბევრ ალაგას ძროხა და ხარ-კამეჩი არ ერთ წერტილზე გაჩერებულა მცხოვრებთა გამრავლების მიხედვით, ან ოდნავლა გამრავლებულა, მაგრამ ცხვარი გადაშენების გზას ადგია ღორის სასარგებლოდ. ეს ხდება და აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ წვრილი მეურნეობის თან და თანი გაძლიერებით, სადაც სამრეწველო მიზნით ღორის მოშენებას მისდევენ, ეს გარემოება ნიშნავს მსხვილ მეურნეობის დაცემას, სადაც ცხვარს ეტანებოდნენ მსხვილი მეურნენი. ხსენებული წლების განმავლობაში დაუკლიათ და მოუმატიათ (—,+.) ათასი:

| | ცხენი | ძროხა და ხარ-კამეჩი | ცხვარი | ღორი |
|---|---|---|---|---|
| დიდ ბრიტანეთში | +15 | +1146 | —4859 | —252 |
| საფრანგეთში | +319 | + 996 | —1336 | +1010 |
| გერმანიაში | +1001 | +4396 | —13685 | +16389 |
| შვეციაში | —16 | +607 | —401 | +780 |
| დანიაში | +88 | +401 | —822 | +940 |

ინტენსიურ მეურნეობის ქვეყნებში, სადაც მიწის შემოსავალი წარმოუდგენლად დიდია, როგორც არის მაგალითად ბელგიაში, დანიაში და გერმანიაში მრავლდება ისეთი პირუტყვი, რომელსაც წვრილი მეურნეობა მისდევს და რაიცა აძლიერებს წვრილ მესაკუთრის მდგომარეობას, ამტკიცებს მის შრომას გარჯას და კეთილდღეობას.

ის გარემოება, რომ წვრილი მეურნე თან და თან მაგრდება სოფლის კაპიტალისტურ წარმოებაში, შრომას ვერა სძლევს ვერავითარი ძალა და როგორც ტეხნიკა ისე ხვადაგიც შრომის ძალის მიხედვით გვარდება იღებს სათანადო ნაყოფს მეურნეობის საფუძვლის—მიწის მფლობელობის ჩამოყალიბებაში. ინტენსიურ კულტურის და ხალხის გამრავლების გამო მსხვილი მიწის მფლობელობა თან და თან ნაწილდება, მიწის კონცენტრაცია იშლება და ვხედავთ თან და თან მეტ წვრილ და წვრილთა საზოგადოებრივ საკუთრების გამრავლებას. რუსეთის სახელმწიფოს მიწისმფლობელობის ისტორია ფეოდალურ და ნახევრად მსხვილ კაპიტალისტურ საკუთრების ლიკვიდაციის ისტორიაა, რომლის პროცესში სავსებით იმარჯვებს მშრომელი და წვრილ მესაკუთრის ძალა—გლეხ-კაცობა. ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის ცნობით, ქონდათ:

| | თავად-აზნაურობას | გლეხობას |
|---|---|---|
| 1877 წელს | 73,1 მილ დეს. | 5,8 მილ. დეს. |
| 1905 „ | 53.2 „ „ | 13,2 „ „ |

მეოთხმოცე წლებიდან უკანასკნელ დრომდე გლეხ-კაცობის ხელში გადმოდიოდა დიდძალი მამული და თანდათან მცირდებოდა თავად-აზნაურობის მამული. საგლეხო ბანკის საშუალებით გლეხკაცობას შეუკრავს პირობა და შეუძენია სამუშაო მიწა:

| | პირობა შეუკრავთ | შეუძნიათ |
|---|---|---|
| 1883—1885 წ. | —1941 | 546,3 ათასი დეს. |
| 1886—1890 „ | —5409 | 1021,2 „ „ |
| 1891—1895 „ | 6628 | 757,1 „ „ |
| 1896—1910 „ | —17805 | 2498,3 „ „ |

შემდეგ წლებში ბანკის ოპერაციებით შეუძენიათ:

| | |
|---|---|
| 1905 წ.— | 77724 დეს. |
| 1906 „— | 89244 „ |
| 1907 „— | 180148 „ |
| 1908 „— | 324956 „ |
| 1909 „— | 551307 „ |
| 1910 — | 791646 „ |
| 1911 „ | 2828717 „ |

ჩვენ არ გამოუდგებით საგლეხო ბანკის ქვეშა მიზნების გამოძიებას, ვიტყვით მხოლოდ, რომ საგლეხო ბანკის მუშაობა ასე ნაყოფიერი არ შეიძლება ყოფილიყო, რომ ცხოვრების მსვლელობასაც არ ეგუებოდეს მისი მიზნები. გლეხ-კაცობა ზარალობდა საგლეხო ბანკის დუხჭირ პირობებით და მიზნებით, მაგრამ ცხოვრების, შრომის სტიქიას თავისი გაჰქონდა და ხალხის ხელში გადადიოდა დიდძალი მამული. 1906 წლიდან 1916 წლამდე კერძო მემამულეებისა და უმთავრესად თავად-აზნაურობისაგან ბანკმა შეიძინა 6789 ათასი დესეტინა მიწა. 1917 წლის იანვრის პირველისთვის ბანკის განკარგულებაში 2 მილიონ ნახევარი დეს. მიწა ირიცხებოდა. სხვა და სხვა საზოგადოებრივ წრეებში მამულის მოძრაობის დასახასიათებლად ჩვენ გამოვიყენებთ შემდეგ ცნობებს. 1903 წელს მიწა გაყიდეს, ვიდრე შეიყიდეს ეტა:

| | | | |
|---|---|---|---|
| თავ.-აზნ.— | 694,2 | ათასი | დეს. |
| ვაჭრებმა— | 93,1 | „ | „ |
| უცხოელება— | 25,3 | „ | „ |
| მოქალაქეებმა— | 13,3 | „ | „ |
| სას.-წოდებამ— | 5,6 | „ | „ |

საზოგადოების ყოველ წრეზე მეტი მამული გლეხ-კაცობამ შეიძინა. ქონდათ მიწათმფლობელობისა:

| | თავ.-აზნ. | ვაჭრებს ღ სხ. | გლეხებს |
|---|---|---|---|
| 1877 წ. | 77,8% | 10,4% | 6,2% |
| 1905 „ | 52,5 „ | 12,6 „ | 12,8 „ |

აქედან აშკარაა, რომ საზოგადოების არც ერთ წრეს იმდენი მიწა არ შეუძენია, რამდენიც გლეხობას, ესე იგი ფულისა და კაპიტალის პატრონს ვერ მოუხერხებია რუსეთში წვრილი ქონების ხალხზე—მშრომელ გლეხ-კაცობაზე მეტი მიწის შეძენა აქვე უეჭველად უნდა ალვნუსხოთ, რომ ადვილად არ ხდებოდა გლეხების მიერ მიწების შეძენა. რამდენადაც ინტენსიური მეურნეობა ფეხს იკიდებდა, რამდენადაც ძლიერდებოდა წვრილი ქონების ხალხი, იმდენადვე იზრდებოდა მიწის ფასი და ძნელი ხდებოდა მიწის შეძენა, მაგრამ ეს სიძნელეც ქრებოდა გლეხ-კაცობის შრომის და შეძლების წინაშე. საშუალოდ ფეოდალების მიწა იყიდებოდა 1855 წელს დესეტინა 13 მანეთად, 1875 წელს—20 მანეთად, 1885 წელს 40 მან, ხოლო 1905 წელს კი 40 მანეთად.

თ. ღლონტი.

და როგორც იყო, დავლეწეთ მონობის ... უღელი—საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი შეიქმნა. მაგრამ ამ თავისუფლებას ორი დიდი მტერი ჰყავს—გარეშე ძალები და საკუთარი შეუგნებლობა. საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას ძირს უთხრიან ჩვენი მტრები, მაგრამ ბევრად უფრო საშიში გამხდარა ის აჯანყებანი. რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში ჰხდება და რომელიც ხალხის სიბნელით და გაუგებრობით აიხსნება.

ამხანაგებო! ასეთი სამარცხვინო აჯანყება საკუთარი თავისუფლების წინააღმდეგ სამწუხაროდ ლეჩხუმშიაც მოხდა. თუმცა თვით ხალხი ამაში მონაწილეობას არ იღებდა და თუ იღებდა—ხულიგანთა მოტყუებით და პროვოკაციით, მაგრამ ფაქტია, რომ იქ თოფ-ზარბაზანი ახმაურდა, ჩვენს დემოკრატიულს მთავრობას დასჭირდა განსაკუთრებულ ზომების მიღება.

ვიმეორებთ ეს ხალხის სიბნელის ბრალია. მოწინავე ელემენტებმა სოფელი მიატოვეს და ათასგვარ გაუგებრობის მსხვერპლად გაჰხადეს. დღეს რაჭველ-ლეჩხუმელთა ერთი ჯგუფი აარსებს რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოებას. მისი მიზანი იქნება ხალხში გათვით ცნობიერების შეტანა, სკოლათა, ბიბლიოთეკათა და სხვ. გახსნის ხელის შეწყობა. ათასგვარი საჭიროება აქვს რაჭა-ლეჩხუმს. საზოგადოება ეცდება ყოველ ამისთანა საქმეს ხელი შეუწყოს იქისროს თაოსნობა გზების გაყვანისა, მთა-მადნის დამუშავებისა, სხვა და სხვა საკულტურო დაწესებულებათა დაარსებაში. გარდა ამისა იგი ეცდება დღევანდელ გაჭირვების დროს მიეშველოს რაჭა-ლეჩხუმს სხვა და სხვა საჭირო ნივთიერებათა მიწოდებით და ხალხის მდგომარეობის შემსუბუქებით.

ამ საზოგადოების დამფუძნებელი კრება დანიშნულია კვირას, ენკენისთვის 1-ლს. წესდება უკვე შემუშავებულია. საჭიროა მისი დამტკიცება და გამგეობის არჩევა. ყველა შეგნებულ რაჭველ-ლეჩხუმელის და საზოგადოდ ქართველის მოვალეობაა ამ კრებაზე მოვიდეს და საზოგადოებაში ჩაეწეროს.

მაშ ამხანაგებო, მოდით კვირას საზოგადო კრებაზე (ადგილი გაზეთებში იქნება გამოცხადებული), შეატყობინეთ ყველას და მოიზიდეთ ყველანი. დავიწყოთ ეს დიდი საქმე, რომლის გაკეთებასაც მოითხოვს საქართველოს ნორჩი თავისუფლება და ჩვენი კუთხეების გაჭირვებული მდგომარეობა.

საორგანიზაციო კომისია.

—

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებს ეს მოწოდება გადაბეჭდონ.

ს. ქ.

## შთაბეჭდილება

როცა ხედავ ბავშვს გულამოსკვნით მტირალს, გულწრფელად გინდა თავზე ხელი გადუსვა, მოეფერო და მოსთხოვო: გეთაყვა, მითხარი ვინ აგატირა, შენი გამლახველი მაჩვენე, მე იმას შავს დღეს დავაყენებთქო და სხვა.

ასეთ განცდაში ვიყავ, გუშინ წინ, ეროვნულ საბჭოს სხდომაზე, დაგვიანებით მისული.. გული ჩემი მიიწევდა ტრიბუნისკენ, მინდოდა იქედან მეყვირა: ძამულიშვილნო, ეროვნულ საბჭოს წევრნო, ეგ რა გიქნიათ, რომ „დაზრდილნი“ ხალხნი აგიტირებიათ! მართლაც, მტირალა ბავშსა ჰგავდნენ ეროვნულ დემოკრატები! მართლა ისინი იცინოდნენ,.. სიცილით ამხნევებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეგ სიცილი ხომ ცრემლზე უფრო მწარე იყო. მეტის სიბრაზით კბილებსა კრეჭდნენ, უნდოდათ ამითი ეთქვათ: ჯერ კიდევ ავიტანთ გვცემეთო. მინდოდა მივშველებოდი რითიმე, მაგრამ... ხომ მოგეხსენებათ ატირებულ ბავშის ოინებსა და მუხამბაზობას როცა გაიგებ, როცა გაიგებ, რომ მას დიდი უკულმართობანი ჩაუდენია ძალა უნებურად გაგეღიმება, შებრალების გრძნობა მისდამი თითქოს ნელდება და ეუბნები: შე დალოცვილო, ცოტა ოდენი შეუკელ შენს უკულმართობას და ასე მწარედ არ გცემენთქო. ასე ვიცვალე ფრონტი, როს გავიცან, რომ ეროვნულ დემოკრატებმა თავიანთი უსაფუძვლო შეკითხვებითა, დაუბოლოვებელი ლაყაობათა, დროგებითა და ჭრიაშვილისებური მოხსენებებითა ხშირად გააცდინეს, სხვა რომ არა იყოს რა, სამშობლოს საკეთილდღეოთ მომუშავე ხალხი. ტრიბუნიდან სრულიად დამშვიდებულად მინდოდა მეთქვა ეროვნულ-დემოკრატებისათვის: თქვე დალოცვილებო მოუკელით საქართველოს თავგანწირულთათვის ფეხებში ჯოხის ჩაგდებას და ვინ ეშმაკი გცემსთ.

ამ დროისათვის მოუმწიფებელი და მოუსწრებელ თქვენზე მეტი ეყოლებოდა გვეგონა ცხრა კლიტულში მყოფ საქართველოს, თორემ თქვენებრ ცოტანს ვერ ავიტანთ და გავიტანთ!?

ვარლამ იმერელი.

## გაზ. „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“

მრავალნი ჩავარდნენ დღეს სიღარიბეში და ვერ გამოუნახავთ გამოსავალი გზა. მაგრამ ეხლა მინდა ორიოდე სიტყვა მხოლოდ ქართველ სტუდენტების შესახებ ვსთქვა. დღეს სტუდენტები დიდ მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდიან. რასაკვირველია, არიან ისეთი ბედნიერებიც, რომელთაც არ უჭირთ. მაგრამ ესენი ხომ განსაკუთრებულ მდგომარეობის წყალობით ბედნიერდებიან. ზოგი პროტექციის საშუალებით, ზოგი კი იარლიკის. ასეა თუ ისე, მრავალი სტუდენტია უსაქმოდ და ზოგიერთი კი ლუკმა პურის მონატრეც თითქო ასე არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამწუხაროდ ეს ფაქტია..

ამიტომ, ქართველ სტუდენტების ერთმა ჯგუფმა, განურჩევლად პოლიტიკურ მსოფლმხედველობისა, გადასწყვიტა გამოსცეს გაზეთი „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ ერთ დღიური, თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გაზეთის ფასი ერთი მანეთია. იმედია საზოგადოება მოიკითხავს პარასკევს სტუდენტების გაზეთს „დღენი ჩვენი ცხოვრებისას“ და თავის წვლილით დაეხმარება... ბევრი გამიგონია, ხალხი არა გვყავს ამა და ამ საქმის გასაკეთებლადაო. მაგრამ, საკვირველი ის არის, როდესაც სტუდენტი მივა ადგილის სათხოვნელად უარს ეუბნებიან. ყოველ დღე გაეროვნებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ დაგვიანების მიზეზად მოჰყავთ ის, რომ საჭირო მომზადებული პირები არიანო. მე კი კარგად ვიცი, რომ ბევრი „დიპლომიანი“ სამ-სამი თვეა ადგილსა თხოულობენ და რუსულ „ხვალეობით“ უმასპინძლდებიან. ეს ყოველივე ძალიან საგულისხმოა და ყურადსაღები..

მაშ, მოქალაქენო, ვიყიდოთ ერთდღიური გაზეთი „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

გ. ნ.

## თიანეთის მაზრაში

ამ რამდენიმე დღის წინად დავესწარი სოფ. მატანში ს. ყრილობას, რომელიც იყო მოწვეული თიანეთიდან მოსულ პირებისაგან. იქ გახლდათ ემისარი თიანეთის მაზრისა. მაზრის კომისარიარიატის წარმომადგენელი და თიანეთის საადგილ-მამულო კომიტეტის თავმჯდომარე.

ეს პირები იყვნენ ჩამოსულები, რათა ხელი შეეწყოთ მიწების მიმღებ კომისიის მუშაობისთვის, რომელსაც მატნელები ნებას არ აძლევდნენ ემუშავნათ და მიწები მიეღოთ მსხვილი მემამულეებისგან.

ხალხი ერთობ გულგრილად შეხვდა მოსულ პირებს. თითქმის არც კი უნდოდათ მისულიყვნენ იქ, სადაც ყრილობა უნდა მომხდარიყო და მოშორებით კი სხვა დუქანთან ვილაც ტერტერა'სთან ერთად რაღაც დიდს საქმეებზე ბჭობდნენ. რამდენჯერმე ექმნა წინადადება მიცემული სოფლის კომისარს ხალხი მოეწვია დანიშნულს ალაგზე. იგი მარტო იმას გაიძახოდა: „რა ვქნა, არა სწადიანთ და მე როგორ მოვრეკოო?“ ბევრის ცდის შემდეგ, როგორც იყო ხალხმა თავი მოიყარა. აქა იქ შეჯგუფებულები გაიძახოდნენ: „ნეტავი მაგათ რაღა უნდათო“.

როდესაც მოსულებმა გააცნეს მოსვლის მიზეზი და ჰკითხეს, რათ უშლით ხელს კომისიამ მიწები მიიღოს, რომლებიც თქვენვე გადმოგეცემათო, მატნელებმა უპასუხეს: „ჩვენ დიდი ხანია მიწები მივიღეთ, ჩვენთვის თავს ნუღარ აიტკიებთ. თქვენ მიწების ჩამორთმევა კი არ გინდათ, მემამულეებისთვის მიწების მისაცემად მოხველითო“. როდესაც მოსულებმა განუმარტეს, რომ ის ჩამორთმევა უკანონო იყო, რომელიც ეწინააღმდეგება რესპუბლიკის კანონებს და ეხლა კი უნდა მოხდეს ჩამორთმევა კანონიერი, რომელიც თავისუფალ ქვეყანას შეეფერება და თუ თქვენ მხარს უჭერთ საქარ. რესპუბ. მთავრობას, არც უნდა ხელი შეუშალოთ მის კანონებს, რომელი კანონებიც თქვენ დიდს სარგებლობას მოგიტანთო. ხალხში გაისმა ხმები: „რომელ მთავრობას დაუჭიროთ მხარი, მთავრობა სადღა არისო.

თქვენ კი თავადების მოსყიდულები ხართ, გინდათ მათი წაგებული საქმე გამოასწოროთო, სულ გავსწყდებით და მამულს კი არავის დავანებებთო. თქვენ თუ მართლა გლეხი ხალხისთვის კარგი გინდათ, ან იმ თქვენს მთავრობას ი 15 დესეტინას რაღათ უზომავთ იმასაც თავადები მოინდომებენო“.

საყურადღებო ისაა, რომ ერთი ნაწილი მატნისა, სადაც უფრო ქართველებით არის დასახლებული მხარს უჭერს ჩვენს მთავრობას და მთავრობის კანონების ცხოვრებაში გატარებას, მეორე ნაწილი კი სადაც დასახლებულია სომხებით, სადღაც რუსეთ-ინგლისისაკენ გაიცქირება.

არ შემიძლიან გავჩუმდე და არაფერი ვსთქვა სოფ. კომისრებზე, რომლებიც ჩემის აზრით გამკეთებლებიც არიან და გამფუჭებლებიც ყველაფრისა. კაცმა რომ თვალი ადევნოს, თითქმის ყველა სოფელში ერთსა და იმავეს შენიშნავს. კომისრად ამორჩეულა ის, ვინც უფრო ძალიან ბევრსა ჰყვირის და ბევრი ცუდი საქმეებიც გაუკეთებია წარსულში მისი წარსულიც შიშსა ჰგვრის იმის ამომრჩევლებს, ამისთანა ვაჟბატონებს ირჩევს სოფელი. სოფელი კი არა ერთნაირი ძალა, რომელიც უნდა განდევნოს შეგნებულმა ნაწილმა, თორემ ჩვენ ყოველთვის და ყველგან მოწმები ვიქნებით ყველანაირ უწესოებისა.

ძია ლადო.

## მოწერილი ამბავი

სოფ. ალი (ზემო ქართლი). ს. ალი, ერთი უდიდესი სოფელია მთელს ზემო-ქართლში და მისი საზოგადოება შესდგება ათასი კომლისაგან. სხვა სოფლებთან შედარებით ეს სოფელი წინსვლით და სწავლა განათლებით ცოტად მაღლა სდგას და უფროც მაღლა იდგება, მაგრამ ბევრი ჰყავს წინ გადამდგომი და ხშირია ამათ წყალობით აქ არევ დარევა. ალში, როგორც საზოგადოების, შუაგულში ხშირად იმართება ხოლმე მიტინგები და კრებები, სადაც პარტიულ ნიადაგზედ ხშირად მომხდარა აყალ-მაყალი და უშველებელი ჩხუბი. აგვისტოს 18 ალში გაიმართა მრავალრიცხოვანი კრება, რასაც დაესწრო ეროვნულ საბჭოს წევრი ბ. ჩიხლაძე—თავმჯდომარეობდა სვიმონ ბაბლიძე. ბ-ნმა ჩიხლაძემ მოკლედ განუმარტა ხალხს მიწის საკითხი: თუ მიწა ვის, როგორ ჩამორთმეოდა და გადასცემოდა. ხალხი ტაშის კვრით ეგებებოდა; ილაპარაკეს სხვებმაც და შეეხნენ იმას, რომ ხალხი მოთმინებით იყოს და მოუცადოს მიწის გამყოფ კომისიას, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი დაჰკარგავს თავისუფლებას.

ბოლოს თავმჯდომარე ბ. ბაბლიძემ ხალხს მიმართა, რომ ალში დაარსდეს სახალხო გვარდია ყოველგვარ წესიერების აღსადგენად ერთი ოფიცრის მეთაურობით. ხალხი თანახმა გახდა. რათა სახალხო გვარდიაზედ არასფერი მითქმა მოთქმა და ჭორები არ გავრცელდეს, ვითომც ისინი თავადაზნაურობის მესყიდულიაო, ამისათვის უნდა აირჩიოთ კომისია ათის კაცისაგან შემდგარი, რომელიც შეამოწმებს სახალხო გვარდიაში მიღებულებს სანდო პირნი არიან თუ არა. დაიწყეს დასახელება კომისიის წევრებისა, და როდესაც ისეთს პირს დაასახელებდნენ, რომელიც შენიშნული იყო ს.-ფედერალისტად, მაშინვე ასტეხდენ ერთ აურზაურს, რომ ეგ ფედერალისტია და მაგის წევრობა არ შეიძლებაო. გაგება იმის, რომ ფედერალისტი იყო და სიიდან მოშლა ერთი იყო. ამ ნაირად გავიდნენ და ალში მოწვეულს მოლაპარაკს შეეპარენ კომისიაში მეტი წილი ბოლშევიზმით გაჟღენთილნი, რომელნიც რასაკვირველია გვარდიასაც ბოლშევიკურს შეიდგენს, ამას მოჰყვება ერთი არევ-დარევა, ერთი უსიამოვნობა და მერე გვიანღა იქნება. რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა და არჩეული კომისიის წევრები ბოლშევიზმით გაჟღენთილები არიან, აი საიდან სჩანს: ამას წინად ალში დაიჭირეს საჩხერიდან გამოქცეული „ბანდა“, ხუთიკაცი ბოლშევიკები და გადასცეს გომის სარაიონო მილიციონერებს. ეს რომ გაიგეს ზოგიერთმა ალელმა ბოლშევიკებმა, გამოუდგნენ მილიციონერებს, გზაში წამოეწივნენ და ეს დაჭერილი ხუთი კაცი ისევ უკან წაართვეს და უპირობდნენ გაშვებას, რადგანაც დაჭერილები თავიანთ თავს ბოლშევიკებს უწოდებდნენ. ცარიელმა დაბრუნებულმა მალე სხვა ამხანაგებიც მოიშველიეს და უკანვე წაართვეს და წაიყვანეს საპყრობილეში, სადაც გამოირკვა მათი ყაჩაღობა, რომელთაც მრავალი მგზავრი გაუძარცვათ. აი სწორედ ისეთი პირები მოჰყვნენ ალის კომისიაში, რომლებიც ყაჩაღებს მხარს უჭერდნენ და დღეს სწორედ ამათ უნდა შეადგინონ სახალხო გვარდია. ამას იქით რაღა ვსთქვათ?! ალის სახალხო გვარდიის შემამოწმებელ კომისიაში ზოგი ისეთი წევრები მოჰყვნენ, რომლებიც ხალხში დაძრწოდნენ და საჩხერეშიაც მიერეკებოდნენ და თვითონ ალშიაც ლამობდნენ საჩხერისებურს გამოსვლებს. საზოგადოდ არჩევნები სოფლად ძლიერ ცუდად ჰხდება. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს მპყრობელმა პარტიამ.

დამსწრე.

—

**წალენჯიხის რაიონი.** ეს სოფელი და მისი რაიონი ბოლშვიკების გამოსვლის შემდეგ უმთავრობოდაა დარჩენილი. ყაჩაღებმა წალენჯიხის რაიონი უკიდურეს მდგომარეობიში ჩააყენეს. ღამე არ გაივლის, ორი სამი ოჯახი არ აწიოკონ ან კაცი არ მოჰკლან. თავისუფლად დათარეშობენ ეს ვაჟბატონები, ზოგი წერილსაც უგზავნიან „გამოგვგზავნე ამდენი ფული“, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით ემუქრებიან, ყოველ ღამე ხალხი ფეხზე სდგას და ელის თავის მტერს. ჩვენ ვიცით მთავრობა დარწმუნებულია, ვითომც წალენჯიხის საზოგადოება ბოლშევიკობდეს; ეს სიმართლეს მოკლებულია, ვინაიდან ხსენებული საზოგადოება სრულს ნდობას უცხადებს საქართველოს რესპუბლიკანურ მთავრობას.

ის მზადაა პირნათლად შეასრულოს მთავრობის ყოველგვარი მოთხვნილება. და ჩვენც დარწმუნებული ვართ, ღვთის ანაბარად მიტოვებულ სოფელს პატრონობას აღმოუჩენს საქართველოს დროებითი მთავრობა, და დროზე აღაგმავს სამშობლოს ულირს შვილებს. თორემ დაყონევბა განადგურებას უქადის სოფელს, და ეს განადგურება. დანაშაული იქნება

ტერ. წალენჯიხელი.

გამომცემელი
სამხონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.


**ექიმი** გ. გ. მუხაძე იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცეროა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

**ექიმი** ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვინის აფთიაქის გვერდით. 968

**ექიმი** ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით/ დილას 10—12 ს. და სალამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ვერვენის ძოლების ალო ტელ. 14—74. 887

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და სადამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის მესახევე სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450.

**ექიმი** დ. ვ. ჯავახიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმი** დ. ზარაშანიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პაელოვის ქუჩა, № 7. 2130

**ექიმი** ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86 1270

**ექიმი** გ. ... ავადმყოფთ დილის 12—2 საათ... ... რლანოვის ქ. № 6.

**ექიმი** კბილისა კონსტანტინე ა... ... ავადმყოფ... მიღება 11—2 საათამდე. შელიკოვის ქ. № 11 ... 121

**ექიმი** პავლე არდაშიანი დაბრუ... იღებს ბავშვთა და შინაგან ავად... მყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1003

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინა... გან და ბავშვთა სნეულებიან ავად... მყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საა... დე, მიხეილის პროსპექტი № 117.

**ექიმი** ქ. ტუმბილაშვილი ღებუ... ავადმყოფებს ვენერიული, ... რდე და სახქესე მილის სნეულებანი, ... ლისი (606 და 914) შეშხაპუნება). ... მოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე ... კვირისა კურძე სამკურნალო მიხაილ... პროსპექტი № 167.

ქუთაისში

**ექიმი** გ. ქორქაშვილი დაბრუნდა და განაახლა თვალის ავად... ფების მიღება დილის 8—10 ს., საღა... მოთი 5—6 ს. ძველი ტფილისის ... ოლდენბურგის ქუჩების კუთხე. 851

**ექიმი** ე. ლ. ზალამბერიძე იღე... ბებიო და საშვილოსნოს ავად... მყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი ... როგრადის ქ. № 7. 1027

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე. შინა... ყურის, ყელის და ცხვირის სნე... ულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვ... № 7 ტელეფონი 17—49. 1408

ქუთაისში მიხეილის ქუჩა, წითელ ხიდთან ... ქირურგიული და ქალთა სნეულების ... ავადმყოფთ სამშობიარო განყოფილება ... დახაწოლ ავადმყოფს იღებენ ყოველ დღე ... 84

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპე... ლურად მალარიით (ციება) მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლნაკლულობით, გულისა, ფილტვისა, ... ბით და სხვ. შინაგან სნეულებით ავად... მყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 ს. ელე... ქტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მთა... ვის ქ. № 11. 1426

კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.
ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილ... 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 157. 747

თვალის სამკურნალო მუდმივი საწ... ლით ექიმ ლოხინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასი... სტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალ... კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღე... ბიან დილის 9—1 საათამდე და საღამო... 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ა... ლოს კინო-თეატრის მახლობლად). მ... და საოპერაციო ავადმყოფები სრული ... სიოთინითაც მიიღებიან. 120

ექიმ ნავახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ბ. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავად...
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვ... შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავად... მყოფებს $11^1/_2$ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ს. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთრ... ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი: 1—2 ს. ... ნოვანი.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავად... მყოფობანი და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 2 მან. ხელმოკლეთა... უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაცი... მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედი... დოქტორი ა. ნავახარდიანი.

ვაჭრობა და წველობის სამინისტროს უფლების
**საბუღალტრო კურსები**
ნ. ვ. აბრამიანისა
ორივე სქესისათვის (არსებობს 1895 წლიდან) კურსები ოთ-ხთვიანია. მეცად... ყოველ-დღე. კურსებთან იხსნება საგანგებო განყოფილება იმათთვის, ვისაც ბუხჰალტერია ქართულ ენაზე შეისწავლოს. თხოვნები მიიღება აგვისტოს ... სწავლა დაიწყება 1918 წლის სექტემბრის 15-დან. პროგრამისა და წესდების ... შეიძლება კურსების კანცელარიაში: ტფილისი, ნიკოლოზის ქ. № 22, ტელ. 7—4...

მ იღებიან
**მგალობლები**
სიონის ტაძართან ქართველი საზოგადოების მიერ დაარსებულ სამ... გუნდისათვის. პირობების გაგება სამიტროპოლიტო კანცელარიის გვერდ... ფ. კარბელაშვილთან საღ. 5—8 საათამდე. მგალობელთა რიცხვი განსაზღვრ... ჯამაგირი, შემოსავალს გარდა 100 მანეთამდე თვეში.